იანვარი
2021

სარაკეტო აფიორის ექო საქართველოში: თავდაცვის მემორანდუმი "მოტორ სიჩთან"

ანგარიში #5

სამოქალაქო
იდეა

სამოქალაქო იდეას შესახებ

“სამოქალაქო ინიციატივა დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევნისთვის- სამოქალაქო იდეა” საქართველოში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც გლობალურ საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაციის მანდატი ემსახურება დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანის რეალობად ქცევას, ყოველ მოქალაქემდე მიტანას და ინსტიტუციონალიზაციას.

დემოკრატიული და ევროატლანტიკური არჩევანი,
ეს არის თავისუფალი, სამართლიანი, თანასწორობაზე დაფუძნებული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობით შეიარაღებული მოქალაქეები უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ თავს.

“სამოქალაქო იდეა” აქტიურად აკვირდება ჩინეთის მზარდ გავლენებს საქართველოში. ამ თვეში ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ანგარიში სახელწოდებით "ვინ განსაზღვრავს ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს დღის წესრიგს? ჩინეთის გავლენის ოპერაციები აკადემიაში, მედიასა & არასამთავრობო სექტორში: საქართველოს მაგალითი", რომელიც აფასებს ჩინეთის კომუნისტური პარტიის გავლენის ოპერაციებს მედიაში, აკადემიასა და სამოქალაქო საზოგადოებაში. სამოქალაქო იდეა, ბოლო სამი წელია იკვლევს და აკვირდება ჩინეთის საქმიანობას საქართველოში, თუმცა კვლევა ასევე ეფუძნება სხვა ქვეყნებში მსგავსი პრაქტიკის შედარებითი ანალიზს. დღეს ჩინეთის საქმიანობა საქართველოში პირდაპირი, ხილული და მყისიერი საფრთხის შემცველი არ არის, თუმცა რესპექტაბელური და ავტორიტეტული ორგანიზაციების, ჩვენი პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების სამსახურების, ევროკავშირის მრავლობითი ორგანიზაციების კვლევების, რეკომენდაციებისა და გადაწყვეტილებების იგნორირება საქართველოს ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი ნათელი მაგალითია მყარი საგარეო ორიენტირების მოშლისა და ქვეყნის განვითარების და გრძელვადიანი წარმატების შესახებ ბუნდოვანი ხედვის თაობაზე.

სარჩევი

შესავალი: საქართველო & უკრაინული „მოტორ სიჩი“ 5

რას ედავება გამოძიება „მოტორ სიჩს“ უკრაინაში? 8

- უკრაინაში განვითარებული მოვლენების თაიმლაინი 9
- აშშ-ს ჩართულობა „მოტორ სიჩის“ სკანდალში 10

„მოტორ სიჩთან“ დაკავშირებული საერთაშორისო სკანდალები 12

- * ბელარუსი 12
- * ნიგერია 12
- * ინდოეთი 12

გლობალური თაიმლაინი

2016 წ.

ბელარუსში, „მოტორ სიჩის“ მიერ შესყიდული „ორშას ავიასარემონტო ქარხანაში“, ბელარუსის გენერალურმა პროკურატურამ ჩხრეკა ჩაატარა, უკრაინა-რუსეთის საზღვარზე გამძრალი 93 სარაკეტო ძრავის პოვნის მიზნით.

2017 წ.

უკრაინის სასამართლომ გაყინა „მოტორ სიჩის“ აქციები, რადგან 2016 წელს უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა ვიაჩესლავ ბოგუსლაევი (კომპანიის ხელმძღვანელი და აქციონერი) დაადანაშაულა ამ კომპანიის საკონტროლო პაკეტის ჩინური კომპანიისთვის (**Beijing Skyrizon Aviation Industry Investment Co.**) უკანონოდ გადაცემაში.

2017 წ. – 2018 წ.

2017-2018 წლებში - ნიგერიაში „მოტორ სიჩის“ აღჟირის ფილიალმა მონაწილეობა მიიღო $ 4.3 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტზე გამოცხადებული ყაღბ აუქციონში, რითიც ორი ნიგერიელი ბიზნესმენის თაღლითური სქემის ნაწილი გახდა.

2019 წ.

2019 წელს - ინდოეთში არაავტორიზირებული საჰაერო გზით შემოსული უცნობი ანტონოვის **AN-12** თვითმფრინავი, რომელმაც თავი თბილისიდან გამოფრენილ "არარეგულარულ ფრენად" გამოაცხადა, რეალურად „მოტორ სიჩის“ ტვირთმგზიდი აღმოჩნდა.

2019 წ.

2019 წელს - უკრაინის დაზვერვის სამსახურმა ახალი გამოძიება წამოიწყო და „მოტორ სიჩის“ დონბასში არსებული ქარხნის ხელმძღვანელობა "ტერორიზმის დაფინანსებაში", უფრო კონკრეტულად კი, რუსების მხარდაჭერილი ძალების უკანონო დაფინანსებაში დაადანაშაულა.

2021 წ.

2021 14 იანვარი - ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო დეპარტამენტის მიერ სანქცირებული კომპანიების ჩამონათვალს დაემატა ჩინური „**Skyrizon Aviation Industry Investment Co. Ltd**“ (**Motor Sich**– ის მშობელი კომპანია).

2021 წ.

2021 წლის 22 იანვარი - „მოტორ სიჩმა“ საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „**DELTA**“- სთან და თბილისის საავიაციო ქარხანა (**TAM**) "თბილავიამშენთან“ სამმხრივი მემორანდუმი გააფორმა.

2021 წ.

2021 წლის 29 იანვარი - უკრაინის პრეზიდენტმა, ვლადიმერ ზელენსკიმ ხელი მოაწერა ბრძანებას ჩინეთის „**Skyrizon**“-ისთვის სანქციების დაწესების შესახებ.

შესავალი:
საქართველო და უკრაინული „მოტორ სიჩი“

„სამოქალაქო იდეა“ კვლავ განაგრძობს იმ ჩინური კომპანიების კვლევას, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას საქართველოში, აქვთ შელახული საერთაშორისო რეპუტაცია, სხვადასხვა ქვეყნებში ეჭვმიტანილნი ან ბრალდებულნი არიან კორუფციულ გარიგებებში, თუმცა ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტასთან „თანამშრომლობით“ კვლავაც ახერხებენ ადგილობრივ ბაზრებზე შეღწევას და ფეხის მოკიდებას.

2020 წელს, ჩვენ უკვე მოგიყევით „CEFC China Energy“-ს, „Sinohydro“ -ს, „23rd Bureau Group Co. Ltd.“-სა და „Tebian Electric Apparatus Stock Co. Ltd.-ს“ შესახებ, რომლებიც აქტიურად ოპერირებენ საქართველოში, პასუხისმგებელნი არიან მრავალ მასშტაბურ პროექტზე და, ამავდროულად, შელახული საერთაშორისო რეპუტაციით გამოირჩევიან. „სამოქალაქო იდეას“ მონიტორინგის ანგარიშები ქართულ და ინგლისურ ენებზე შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე www.civicidea.ge და „Facebook“ გვერდზე https://www.facebook.com/GeorgianCivicIDEA.

2021 წელს „სამოქალაქო იდეა“ კიდევ მრავალი ასეთი კომპანიის შესახებ მოგიყვებათ.

ამჯერად კი, ჩვენი ინტერესის საგანია უკრაინული სამხედრო-სამრეწველო კომპანია "Motor Sich".

2021 წლის 23 იანვარს, საქართველოს თავდაცვის სამინიტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის[1] საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ ქვეყნის თავდაცვის უწყების თაოსნობით, „მოტორ სიჩმა“ საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „DELTA“- სა და თბილისის საავიაციო ქარხანა (TAM) "თბილავიამშენთან“ სამმხრივი მემორანდუმი გააფორმა.



ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ თანამშრომლობა და შესაბამისად, მემორანდუმი „სამხედრო მრეწველობის განვითარებასა და თავდაცვის ძალების კუთვნილი საფრენი აპარატების მოდერნიზებას ისახავს მიზნად“. იმავე განცხადებაში ნათქვამია, რომ „აღნიშნული საწარმო თავდაცვის ძალების კუთვნილი შვეულმფრენების ძრავებისა და რედუქტორების შეკეთებაზე უკვე მუშაობს“ , თუმცა „თბილავიამშენსა“ და აღნიშნულ კომპანიას შორის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების რაიმე მიმართულებით თანამშრომლობის შესახებ, მანამდე ცნობილი არ ყოფილა.

მიმდინარე სახელშეკრულებო ურთიერთობების შესახებ ინფორმაცია, თავდაცვის უწყებამ მოგვიანებით, 2021 წლის 31 იანვარს გავრცელებულ განცხადებაშიც დაადასტურა: „საბრძოლო შვეულმფრენის მი-24-ის ძრავებსა და რედუქტორებზე, კომპანია ““მოტორ სიჩსა” და სს „თბილავიამშენს“ შორის ხელშეკრულება უკვე გა-

1. ინფორმაცია იხილეთ თავდაცვის სამინისტროს გვერდზე, „დელტას“, „თბილავიამშენსა“ და უკრაინულ სამხედრო სამრეწველო კომპანია Motor Sich - ს შორის სამმხრივი მემორანდუმი გაფორმდა“ - https://mod.gov.ge/ge/news/read/8056/ssstc-deltas-ss-tbilaviamshensa-da-ukrainul-samxedro-samrewvelo-kompania-motor-sich-s-shoris-sammxrivi-memorandumi-gaformda , ასევე სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოებისა და მედია საშუალებების გვერხდებზე. მაგალითად, https://www.interpressnews.ge/ka/article/638596-deltas-tbilaviamshensa-da-ukrainul-samxedro-samrecvelo-kompania-motor-sich-s-shoris-sammxrivi-memorandumi-gapormda/ ინფორმაცია გაავრცელა უკრაინულმა მედიამაც https://tv5.zp.ua/news/motor-sich-modernizuvatime-gruzinski-vertoloti/ ; https://defence-ua.com/news/motor_sich_dopomozhe_gruziji_modernizuvati_gelikopteri_mi_8-2677.html

ფორმებულია, რაც გულისხმობს საბრძოლო მი-24-ის ძრავების მოდერნიზაციასა და რემონტს.“[2]

საინტერესოა, როდის მოხდა „თბილავიამშენსა“ და “მოტორ სიჩს“ შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, ვინაიდან 2017 წლიდან მოყოლებული აღნიშნული კომპანია მუდმივად გამოძიების, სხვადასხვა ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურების მხრიდან შესწავლისა და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების ყურადღების ობიექტია. სამწუხაროდ, ასეთი ინფორმაცია საჯარო სივრცეში არ იძებნება, რაც გვაფიქრებინებს რომ ქართულმა მხარემ კარგად იცოდა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში გამოძიების ინტერესისა და შელახული რეპუტაციის მქონე კომპანიასთან იწყებდა ურთიერთობას და შესაბამისად, ინფორმაცია თანამშრომლობის შესახებ არ გაასაჯაროვა.

2020 წლის ივნისში, პარლამენტში მინისტრის ანგარიშის წარდგენის დროს, საქართველოს იმჟამინდელმა თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა სხვა საკითხებთან ერთად, ავიაციის განვითარებაზეც ისაუბრა. გამოსვლის დროს ყურადღება გაამახვილა საქართველოს სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „DELTA“- სა და თბილისის საავიაციო ქარხანა (TAM) "თბილავიამშენთან“ ერთად დაგეგმილ ერთობლივ ღონისძიებებზე.

„თბილავიამშენისა“ და „დელტას“ ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად მიმდინარეობს არსებული საფრენი აპარატების აღდგენა-რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის მოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ, დელტას ანგარებში ჩვენ ძალიან მალე დავიწყებთ სუ-25-ისა და მოიერიშე შვეულმფრენის მი-24-ების რეაბილიტაციასა და განახლების პროცესს“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

სწორედ მი-24-ების რეაბილიტაციის ხელშეკრულებაზე საუბრობდა სამინისტრო 2021 წლის 31 იანვრის განცხადებაშიც, როგორც უკვე მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულებაზე “მოტორ სიჩსა“ და „თბილავიამშენს“ შორის. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2020 წლის ივნისში ეს თანამშრომლობა უკვე შემდგარი ფაქტი იყო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ, 2019 წელს საერთაშორისო მედია უკვე წერდა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩევლის, ჯონ ბოლტონის მიერ კიევისთვის ჩატანილი გაფრთხილების შესახებ - თავიდან აიცილონ ჩინეთის „ვალის მახეში“ აღმოჩენის საფრთხე. ბოლტონის გზავნილები სწორედ, კომპანია „მოტორ სიჩსა“ და მის ახალ ჩინელ მესაკუთრეებს ეხებოდათ.

2020 წელს კი, საერთაშორისო მედია „ტერორიზმის შესაძლო დაფინანსების“ საქმეზე, “მოტორ სიჩის” წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიების შესახებ იუწყებოდა. საერთაშორისო მედია, ისევე როგორც სხვადასხვა ქვეყნების განცხადებები სავსეა აღნიშნული კომპანიის წინაშე არსებული პრეტენზიებით, ბრალდებებითა და ეჭვებით.

სპეციალურ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ “მოტორ სიჩის” გარშემო არსებული ბუნდოვანებისა და პრობლემების შესახებ, ჯერ კიდევ 2014 წელს იყო ცნობილი. მიუხედავად რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციისა და აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირებისა, “მოტორ სიჩი” სხვა უკრაინულ კომპანიებთან ერთად, რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან აგრძელებდა თანამშრომლობასა და მათი სამხედრო საჭიროებებით უზრუნველყოფას. ამ ფაქტის შესახებ 2014 წელს Washington Post-ის გამოძიება იუწყებოდა.

2. იხილეთ, თავდაცვის სამინიტროს განცხადება ოფიციალურ facebook გვერდზე https://www.facebook.com/mod.gov.ge/photos/a.116763301689754/4080052028694175/

უკრაინული კომპანიის რუსული კავშირების შესახებ, წლების განმავლობაში ბევრი ანალიტიკური ცენტრი და თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს ექსპერტი წერდა.[3] მაგალითისთვის საინტერესოა ჯეიმსტაუნის ფონდის ინფორმაცია, იმის თაობაზე რომ კომპანია "მოტორ სიჩი" 2 წლის მანძილზე აფინანსებდა თვით-გამოცხადებული დონეცკის სახალხო რესპუბლიკის მებრძოლებს. კერძოდ, მარტო 2015 წელს. ამგვარმა დაფინანსებამ დაახლოებით 32 მილიონი რუბლი (650 ათასი აშშ დოლარი) შეადგინა, იმის პარალელურად რომ დახმარება სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური საჭიროებების მიწოდებასაც მოიცავდა.[4]

განსაკუთრებით საინტერესო იყო 2020 წლის სექტემბერში, უკრაინაში გამოქვეყნებული კვლევა "მოტორ სიჩის" დირექტორის რუსული კავშირების შესახებ ვაჭრობის მიმართულებით, რაც მთლიანად „გრიფით საიდუმლო" დოკუმენტაციას ეყრდნობა.

სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საქართველოს ხელისუფლებას ეს ყველაფერი ან შეუმჩნეველი დარჩა, ან უფრო უარესი, სრულად იყო ინფორმირებული კონკრეტული კომპანიის საქმიანობის შესახებ და მიუხედავად მაღალი საფრთხეებისა, მაინც მიიღო მათთან ურთიერთობის გადაწყვეტილება.

ძალიან მოკლედ იმის შესახებ, თუ რა ტიპის ინფორმაციაა საჯაროდ ხელმისაწვდომი 2017-2021 წლებში "მოტორ სიჩის" საქმიანობისა და მის მიმართ მზარდი ინტერესის თაობაზე, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინტერნეტის საძიებო რესურსების ძალიან მარტივი და მსუბუქი კვლევით.

„უკრაინის უსაფრთხოების სამსახურებმა "მოტორ სიჩის" ჩინელებისთვის მიყიდვის საქმეზე სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყეს"[5]- 2017 წელი;

"სარაკეტო აფიორის ექო: როგორ აღმოჩნდა "მოტორ სიჩი" საერთაშორისო სკანდალში ჩათრეული"[6]- 2018 წელი;

„უკრაინის ხელისუფლება იძიებს "მოტორ სიჩის" მიერ სავარაუდოდ „ტერორიზმის დაფინანსების" საქმეს[7]- 2021 წელი;

აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტმა ჩინური „Skyrizon Aviation Industry Investment Co. Ltd" სანქცირებული კომპანიების სიაში შეიყვანა.[8] - 2021 წელი;

„უკრაინის პრეზიდენტმა ჩინური კომპანია „Skyrizon"-ის წინააღმდეგ სანქციები დაამტკიცა"[9]– 2021 წელი.

3. მაგალითისთვის იხილეთ, ვილსონის ცენტის მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული კვლევა https://www.wilsoncenter.org/blog-post/motor-sich-and-americas-pressure-campaign-ukraine-can-it-keep-chinese-bay

4. იხილეთ, სრულად გამოქვეყნებული ინფორმაცია რადიო თავისუფლების უკრაინული სამსახურის გვერდზე https://www.radiosvoboda.org/a/news-motor-sich-finansuvannya-dnr/30064956.html?mc_cid=af45316925&mc_eid=4b516b0c01

5. იხილეთ, SBU initiates criminal proceedings over the sale of Ukraine's Motor Sich to Chinese investors, Tuesday, September 12, 2017 at https://www.uawire.org/sbu-files-case-on-account-of-motor-sich-being-sold-to-chinese-investors

6. იხილეთ, Эхо ракетных афер: как «Мотор Сич» оказалась втянутой в международный скандал, И почему это именно сейчас – ну очень не вовремя Цей матеріал також доступний українською, КИРИЛЛ РАЗУМОВСКИЙ, 12 ИЮНЯ 2018 at https://mind.ua/ru/publications/20185629-eho-raketnyh-afer-kak-motor-sich-okazalas-vtyanutoj-v-mezhdunarodnyj-skandal

7.იხილეთ, Authorities probe Motor Sich's alleged 'financing of terrorism' By Jack Laurenson, July 24, 2019. Updated July 24 2019 at 10:18 pm at https://www.kyivpost.com/business/motor-sich-returns-to-parliament-as-authorities-probe-companys-alleged-financing-of-terrorism.html?cn-reloaded=1&cn-reloaded=1&cn-reloaded=1

8. იხილეთ, China's Skyrizon Added to U.S. Commerce Department Military End User List, by U.S. Embassy in Ukraine, January 14, 2021 at https://ua.usembassy.gov/chinas-skyrizon-added-to-u-s-commerce-department-military-end-user-list/

9. იხილეთ, Ukraine president approves sanctions against China's Skyrizon, By Natalia Zinets, at https://www.reuters.com/article/ukraine-china-sanctions-idUSL1N2K411U

რას ედავება გამოძიება „მოტორ სიჩს“ უკრაინაში?

2021 წლის 22 იანვარს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ „Motor Sich-ი მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა, რომელიც 100 წელზე მეტია თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების ძრავებს აწარმოებს. კომპანიის მიერ წარმოებულ ძრავებს სხვადასხვა ტიპის საფრენ აპარატებზე მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყანა იყენებს.“

შესაძლოა, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ “მოტორ სიჩი” თავისი საქმიანობის 100 წელს ითვლის და მათ მიერ წარმოებულ ძრავებს 100 ქვეყანაში იყენებენ აბსოლუტური სიმართლეც იყოს, მაგრამ ამ საკითხზე დავას ბუნებრივია, არ ვგეგმავთ, მით უფრო რომ სრულიად არაფრის მომცემი და არაფრის მთქმელი ინფორმაციაა. 2021 წელს თანამშრომლობის დაწყებისა და ხელშეკრულების დადებისთვის, ვფიქრობთ არაფერს გვაძლევს იმის ცოდნა, რომ საბჭოთა უკრაინის მიერ, საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ მყოფ მსოფლიოს ნაწილზე, საკუთარი პროდუქციის გავრცელება რა მასშტაბით და რა ინტენსივობით ხდებოდა.

სამწუხაროდ, თავდაცვის სამინისტრომ საზოგადოებას არ უთხრა, რომ კომპანია რომელთან თანამშრომლობაც ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისთვის გადაწყვიტეს და იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, რომ მედია ღონისძიებად აქციეს აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის მიერ იყო სანქცირებული. ხოლო ჩვენს მიერ, ტელეკომპანია „ფორმულასთან“ ერთად ამ ფაქტების საჯაროდ გამოცხადების შემდეგ და მათ მიერ “მოტორ სიჩის“ რეპუტაციის დასაცავად გამოქვეყნებულ განცხადებამდე (31 იანვარი) ორი დღით ადრე (29 იანვარი), ჩინური საავიაციო კომპანია „Skyrizon“, რომელიც კომპანია “მოტორ სიჩის” აქციების უმრავლესობის მესაკუთრეა - უკრაინის პრეზიდენტის სპეციალური აქტით სანქციებს დაექვემდებარა.[10] უკრაინის პრეზიდენტის მიერ დაწესებული სანქციები “მოტორ სიჩში“ ჩინური „Skyrizon“-ის საკუთრების უფლებებს კიდევ ერთხელ ბლოკავს, ასევე, შეუძლებელს ხდის კომპანიის ოპერაციების უკრაინიდან გატანასა და სავაჭრო ოპერაციების განხორციელებას.

სანქციების პირობებში, 2021 წლის იანვრისთვის გვაქვს ვითარება როდესაც კომპანია “მოტორ სიჩის“ აქციების უმრავლესობის მესაკუთრე სხვა კომპანიაა, ჩინეთის სხვადასხვა სამხედრო უწყებასთან ასოცირებული ჩინური კომპანია - „Beijing Skyrizon Aviation Industry Investment Co. Ltd,“ თუმცა მას არ აქვს ამგვარი საკუთრებით წარმოშობილი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა მიმდინარე გამოძიების, სასამართლოს მიერ ქონების გაყინვისა და უკრაინის პრეზიდენტის მიერ ინიცირებული სანქციების გამო. კომპანიის ოპერირებისა და დღევანდელი/მიმდინარე სავაჭრო ურთიერთობების ნებისმიერი ეპიზოდი შესაძლოა მომავალში ხანგრძლივი და ძალიან ძვირადღირებული სასამართლო დავების საგანი გახდეს, როდესაც „Skyrizon“ კომპანიაზე საკუთარ უფლებებს დაიბრუნებს.

დავუბრუნდეთ ისევ იმას, თუ რას ედავება გამოძიება უკრაინაში „მოტორ სიჩს“.

2019 წელს უკრაინულმა დაზვერვის სამსახურმა ახალი გამოძიება წამოიწყო და “მოტორ სიჩის“ დონბასში არსებული ქარხნის ხელმძღვანელობა "ტერორიზმის დაფინანსებაში", უფრო კონკრეტულად კი რუსების მხარდაჭერილი ძალების უკანონო დაფინანსებაში დაადანაშაულა.

10. ინფორმაცია პრეზიდენტ ზელენსკის მიერ “მოტორ სიჩისათვის დაწესებული სანქციების შესახებ იხილეთ, https://www.reuters.com/article/ukraine-china-sanctions-idUSL1N2K411U

მათ მიერ ივლისში გაკეთებული განცხადების მიხედვით, „მოტორ სიჩის“ დონეცკის ფილიალი ფინანსურ დახმარებას უწევდა მოსკოვის მიერ მხარდაჭერილ ე.წ. „დონეცკის სახალხო რესპუბლიკის“ მებრძოლებს. ამავე წლის სექტემბერში, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა ახალი გამოძიება დაიწყო “მოტორ სიჩის” სავარაუდო დივერსიული საქმიანობის გამოაშკარავების მიზნით. ეს საქმიანობა ეხება მოცემული კომპანიის ფარულ კავშირებს რუსეთის ფედერაციასთან.

უკრაინაში განვითარებული მოვლენების თაიმლაინი

2016 წელი - ვიაჩესლავ ბოგუსლაევის მიერ „მოტორ სიჩის“ საკონტროლო პაკეტის ჩინური კომპანიისთვის გადაცემა;

2017 წელი - უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და კომპანიის წილების გაყინვა;

2019 წელი - უკრაინის სახელმწიფო სამხედრო ინდუსტრიულ კორპორაციასა და ჩინურ კომპანია „Skyrizon“-ს შორის შეთანხმება;

2020 წელი - ჩინური „Skyrizon“- ის მიერ უკრაინის სახელმწიფო სტრუქტურებისთვის მუქარის გაგზავნა;

2021 წელი - უკრაინის პრეზიდენტის მიერ ჩინური „Skyrizon“ - ის სანქცირება.

უკრაინის სადაზვერვო აპარატის მტკიცებით, “მოტორ სიჩმა“ რუსეთს სამხედრო ტექნიკა და ორმაგი დანიშნულების მოწყობილობები გადასცა, რაც უკრაინაში 2014 წლიდან მოყოლებული უკანონო ქმედებად ითვლება და უკრაინის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. მიუხედავად ამისა, კვლავ არსებობს ეჭვი, რომ “მოტორ სიჩი“ ფარულად დღემდე განაგრძობს სეპარატისტების აპარატურითა და ფინანსური რესურსებით დახმარებას.

2016 წლიდან მოყოლებული, “მოტორ სიჩის” მთავარმა მფლობელმა, დირექტორმა და მეწილემ, ვიაჩესლავ ბოგუსლაევმა რუსეთთან მჭიდრო კავშირები არ იკმარა და ჩინეთთან დაიწყო თანამშრომლობა, რითიც ორმაგად დააზიანა უკრაინის ეროვნული უსაფრთხოება. ამავე წელს, უკრაინის სადაზვერვო უწყებამ, ვიაჩესლავ ბოგუსლაევი დაადანაშაულა უკვე სადავო და სკანდალური კომპანიის 56% წილის (საკონტროლო პაკეტის) ჩინური კომპანიის „Beijing Skyrizon Aviation Industry Investment Co“-სთვის უკანონოდ გადაცემაში.

2017 წელს “მოტორ სიჩთან” დაკავშირებით, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა ახალი სისხლის სამართლის საქმე ოფიციალურად აღძრა, რომელიც კომპანიის უცხოელ ინვესტორზე გაყიდვას, საბოტაჟსა და სხვა დანაშაულებრივ საქმეებს ეხებოდა. ამის შედეგად კიევის რაიონულმა სასამართლომ გამოსცა ბრძანება ბოგუსლაევსა და ჩინელ ინვესტორებს შორის გარიგების დაბლოკვის შესახებ. ამ ბრძანების თანახმად, გაიყინა “მოტორ სიჩის” წილის 41 პროცენტიც, რომელიც 5 ოფშორულ კომპანიაზე ნაწილდებოდა. საქმის ფარგლებში ირკვევა, რომ „Beijing Skyrizon Aviation“-მა სცადა გამოეყენებინა ვირჯინიის კუნძულებსა და პანამაში რეგისტრირებული შვილობილი კომპანიები “მოტორ სიჩის” აქციების უმრავლესობის შესაძენად. ამ ინციდენტის შემდეგ, “მოტორ სიჩი” მუდმივად იმყოფება უკრაინის სპეცსამსახურების მეთვალყურეობის ქვეშ.

2019 წელს, ჩინელმა ინვესტორებმა, „Skyrizon Aircraft Holding“ და „Xinwei Technology Group“-მა კვლავ განაახლეს “მოტორ სიჩი“-სთვის ბრძოლა უკრაინაში და ერთ-ერთ ადგილობრივ ქარხანასთან შეთანხმებასაც მიაღწიეს. გავრცელებული ინფორმაციით, ჩინურ კომპანიებს უკრაინაში „ვალის მახის“ პოლიტიკის გატარების მცდელობაც ჰქონდათ, მაშინ როცა ვითარების განეიტრალებისა და გაუმჯობესების მიზნით, უკრაინის საავიაციო ინდუსტრიას 100 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი შესთავაზეს. მართალია, უკრაინის სახელმწიფო სამხედრო ინდუსტრიულმა კორპორაციამ „Ukroboronprom“, რომელიც დღემდე ინარჩუნებს “მოტორ სიჩის” 25 პროცენტს, კომპანიის ერთობლივი კონტროლის შესახებ ჩინურ ფირმებთან შეთანხმებას მიაღწია, მაგრამ იმ დროისთვის სასამართლოს მიერ წილის 41 პროცენტი კვლავ დაბლოკილი რჩებოდა.

2020 წელს, პეკინის „Skyrizon Aircraft Holdings“- მა თავად გაუგზავნა შეტყობინება უკრაინის იუსტიციის სამინისტროს და დაემუქრა მას უკრაინის წინააღმდეგ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის აღძვრით, რადგან უკრაინის უსაფრთხოების სამსახური შეძენის დღიდან ბლოკავდა აქციებს და ხელს უშლიდა ჩინურ კომპანიას “მოტორ სიჩის” მართვაში, რის გამოც კომპანიის საერთო ზარალი 3.5 მილიარდ დოლარს აღწევდა.

2021 წლის 29 იანვარს, უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ, ხელი მოაწერა ბრძანებას ჩინეთის „Skyrizon“-ისთვის სანქციების დაწესების შესახებ. საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „როიტერსის“ ინფორმაციით, ”უკრაინის სანქციები ბლოკავს Skyrizon-ის აქტივებს, ზღუდავს მის სავაჭრო ოპერაციებს და ხელს უშლის მისი კაპიტალის გადატანას უკრაინის გარეთ სამი წლის განმავლობაში.”

უკრაინის პრეზიდენტის სანქციების შემდეგ, რამდენიმე დღეში, უკრაინის ქალაქ ზაპორიჟიეში, ადგილობრივი უსაფრთხოების სამსახური “მოტორ სიჩის” აქციონერთა საბჭოს სხდომაზე შეიჭრა და ჩხრეკა ჩაატარა.

The front of a plane is mounted on the administrative center of the Motor Sich engine factory in Zaporizhia, Ukraine. The factory employs tens of thousands in Ukraine's fragile east. (Michael Birnbaum/The Washington Post)

უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის მიხედვით, ისინი „Skyrizon“-სა და სხვა მფლობელებს სააქციო საზოგადოების საწარმოო მოწყობილობების განადგურების უკანონო დაგეგმვაში ადანაშაულებენდენ. ეს მოწყობილობები კი, უკრაინისთვის ეროვნული, ეკონომიკური და თავდაცვითი მნიშვნელობის მატარებელია.

აშშ-ს ჩართულობა „მოტორ სიჩის“ სკანდალში

ბუნებრივია, მნიშვნელოვანი ფაქტორია აშშ-ს პოლიტიკა ჩინური კომპანიების მიმართ, განსაკუთრებით, როდესაც საქმე თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს ეხება. უკრაინის შემთხვევაში ეს ფაქტორი კიდევ უფრო ყურადსაღებია, რადგან ვაშინგტონი კიევის ყველაზე დიდი სამხედრო დონორია. ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში მნიშვნელოვან კონფლიქტს ქმნიდა უკრაინის მცდელობა ჩინურ კომპანიებთან მზარდი თანამშრომლობისა და პეკინიდან ახალი კომერციული კონტრაქტების მოზიდვის გზაზე.

ის გარემოება, რომ “მოტორ სიჩის” ტექნოლოგიებზე წვდომამ, შესაძლოა, ჩინეთს ახალი შესაძლებლობები გაუხსნას, აშშ-

-სთვის შეშფოთების საგანს წარმოადგენს. ფაქტია, რომ პეკინის მიერ რეაქტიული გამანადგურებლების ან ნებისმიერი სხვა სამხედრო დანადგარის მასობრივად წარმოების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი აშშ-ს საჰაერო და სამხედრო უპირატესობის წართმევა იქნება. არანაკლებ მეტყველია ის ფაქტორიც, რომ ვილსონის ცენტრის მკვლევარების მოსაზრებით, უკრაინის სასამართლოს ანტიმონოპოლიის კომიტეტის გადაწყვეტილებაზე, გაეყინა ჩინეთის Skyrizon-ის მიერ შესყიდული "მოტორ სიჩის" აქციების ნაწილი, დიდი გავლენა აშშ-ს ზეწოლამაც მოახდინა. სააგენტო „როიტერსის" სანდო წყაროზე დაყრდნობით წერდა, რომ ჯერ კიდევ 2019 წელს ტრამპის ადმინისტრაციას ჰქონდა უკრაინულ "მოტორ სიჩზე" კონტროლის დამყარების მცდელობა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ს მთავრობას არ შეუძლია პირდაპირი გავლენა იქონიოს ამერიკულ კერძო კომპანიებზე და აიძულოს ისინი უკრაინაში მოახდინონ ინვესტირება, ეს მოლაპარაკებებიც უშედეგოდ დასრულდა. მიუხედავად ამისა, აშშ კვლავ განაგრძობს უკრაინის დახმარებას სახელმწიფო ინსტიტუტების განმტკიცებაში, დემოკრატიული და გამჭვირვალე მმართველობის შექმნაში, დასავლური ინვესტორების მოზიდვაში, ინვესტირების კლიმატის გაუმჯობესებასა და სახელმწიფოს შესაძლებლობების გაფართოებაში, რაც ნდობის აღდგენისა და კანონის უზენაესობის გარანტი იქნება.

უკრაინულ ველზე ამერიკულ-ჩინური დაპირისპირების ნათელი დასტური იყო 2019 წელს პრეზიდენტ ტრამპის მრჩევლის ჯონ ბოლტონის განცხადებებიც, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და პირდაპირ დაუპირისპირდა უკრაინაში ჩინური სამხედრო ინდუსტრიის ინტერესებს. "ჩვენ გამოვთქვამთ შეშფოთებას ჩინეთის უსამართლო სავაჭრო პრაქტიკის, ეროვნული უსაფრთხოების საფრთხეების შესახებ, რაც აშშ-ში უკვე ვიხილეთ..." - აღნიშნა მან 2019 წელს, უკრინაში ვიზიტის დროს. ბოლტონი ადგილობრივ ხელისუფლებას, სწორედ, ჩინეთთან თანამშრომლობის სავალალო შედეგების შესახებ აფრთხილებდა.

აშშ პრეზიდენტის მრჩეველი იმაზეც წუხდა, რომ ჩინეთის სამხედრო კომპანიების უკრაინაში არსებობა მისი სამხედრო ტექნოლო-

გიებისა და სახელმწიფო საიდუმლოებებისთვის საფრთხის შემცველია. ბოლოტონს ვიზიტის ფარგლებში საჯაროდ არ უხსენებია კონკრეტულად "მოტორ სიჩი", თუმცა შეშფოთება გამოთქვა ჩინეთის მიერ „ვალის მახის" პოლიტიკის წარმოებაზე და პირდაპირ აღნიშნა, რომ არ სურს უკრაინა ჩინური „ვალის" მქონე ქვეყნების სიაში იხილოს. პრეზიდენტის მრჩევლის ვიზიტმა გარკვეული გავლენა მოახდინა უკრაინის ხელისუფლებაზე, რადგან როგორც ზევით აღვნიშნეთ, მოგვიანებით უკრაინის მიერ ჩინელი ინვესტორისთვის დაწესებული სანქციებიც ვიხილეთ.

უკრაინულ სანქციებს ბიძგი აშშ-ს ანალოგიურმა პრაქტიკამ მისცა. 2021 წლის 14 იანვარს ამერიკის სავაჭრო დეპარტამენტის მიერ სანქცირებული კომპანიების ჩამონათვალს დაემატა ჩინური „Skyrizon Aviation Industry Investment Co. Ltd" ("მოტორსიჩის" მშობელი კომპანია).[11]

The license requirement for this entity that will be listed on the MEU List applies to the export, reexport, or transfer (in-country) of any item subject to the EAR listed in supplement no. 2 to part 744. For this one entity added to the MEU List by this rule, BIS imposes a license review policy of a presumption of denial as set forth in § 744.21(e).

No license exceptions are available for exports, reexports, or transfers (in-country) to listed entities on the MEU List for items specified in supplement no. 2 to part 744, except license exceptions for items authorized under the provisions of License Exception GOV set forth in § 740.11(b)(2)(i) and (ii) of the EAR.

The acronym "a.k.a." (also known as) is used in entries on the MEU List to identify aliases, thereby assisting exporters, reexporters, and transferors in identifying entities on the MEU List.

For the reasons described above, this final rule adds the following one entity to the MEU List:

China

- Beijing Skyrizon Aviation Industry Investment Co., Ltd.

11. იხილეთ სრული დოკუმენტაცია მოცემულ ლინკებზე: https://www.federalregister.gov/documents/2021/01/15/2021-00995/addition-of-entity-to-the-entity-list-and-addition-of-entity-to-the-military-end-user-meu-list-and , ასევე ამერიკის შეერთებული შტატების კომერციის დეპარტამენტის ოფიციალურ საიტზე https://www.commerce.gov/news/press-releases/2020/12/commerce-department-will-publish-first-military-end-user-list-naming

ვაშინგტონმა ჩინურ კომპანიას აშშ-ს საექსპორტო ბაზარზე წვდომა შეუზღუდა, რადგან აშშ-ს სავაჭრო მდივნის, ვილბურ როსის განცხადებით, ეს უკანასკნელი ცდილობდა "უცხოური სამხედრო ტექნოლოგიების შეძენასა და მათზე კონტროლის დამყარებას". უცხოურ სამხედრო ტექნოლოგიებში კი, უკრაინის სამხედრო საწარმოო მოწყობილობები და დანადგარები იგულისხმება.

„მოტორ სიჩთან" დაკავშირებული საერთაშორისო სკანდალები

უკრაინა არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც კომპანია „მოტორ სიჩს" აქვს შელახული რეპუტაცია, ეჭვმიტანილი ან ბრალდებულია კორუფციულ გარიგებებში და დაკავშირებულია სკანდალებთან. კომპანიით დაინტერესების შემთხვევაში, ნებისმიერი სახელმწიფოს ხელისუფლებას, სწორად და პროფესიულად წარმართული მოკვლევის მზაობის შემთხვევაში, შეუძლია ონლაინ სივრცეში იპოვოს სხვა ფაქტებიც.

რამდენიმე მნიშვნელოვანი სკანდალური ფაქტი „მოტორ სიჩისა" და მისი de jure მესაკუთრე კომპანიის ჩინეთის „Skyrizon"-ის მონაწილეობით, სხვადასხვა ქვეყნებში.

● ბელარუსი

"მოტორ სიჩის" სახელს უკავშირდება სკანდალი ბელარუსში. ამ უკანასკნელმა 2011-2013 წლებში შეიძინა „ორშას" ავიასარემონტო ქარხანა, სადაც მოგვიანებით 2016 წელს, უკრაინა-რუსეთის საზღვარზე გამქრალი 93 სარაკეტო ძრავის პოვნის მიზნით, ბელარუსიის გენერალურმა პროკურატურამ ჩხრეკა ჩაატარა.[12]

● ნიგერია

"მოტორ სიჩი" დაკავშირებულია ასევე, სკანდალთან ნიგერიაში. კერძოდ, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის შესახებ ანგარიშგების პროექტის (OCCRP) თანახმად, ორმა ნიგერიელმა ბიზნესმენმა აბუბაქარ ჰიმამ და აბუბაქარ ჩარფომ, თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში გამოცდილების გარეშე, გამოაცხადეს ყალბი აუქციონი $ 4.3 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტზე, რომელიც ეხებოდა ნიგერიის პრეზიდენტის მაჰამადუ ისუფუს ოფიციალური თვითმფრინავისთვის სპეციალური ანგარის მშენებლობას. კონკურენციის ილუზიის წარმოსაქმნელად, ისინი აყალბებდნენ წინადადებებს თავიანთი ზეგავლენის ქვეშ მყოფი ფირმების საშუალებით. ერთ-ერთი კომპანია, რომელიც მონაწილეობდა ყალბ აუქციონში, სწორედ "მოტორ სიჩი" იყო, ალჟირის ფილიალით წარმოდგენილი.

ნიგერიელი ბიზნესმენები მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ ნიგერიის მთავრობასთან და ამიტომ, ნიგერიის მმართველ პარტიას არასოდეს დაუწყია ამ საქმის გამოძიება. თავად კომპანიამ კი, უარყო მონაწილეობა ამ აუქციონში.

● ინდოეთი

ჩინური აპლიკაციების აკრძალვის შემდეგ, ინდოეთმა სხვადასხვა ჩინური კომპანიის საქმიანობის გამოძიება დაიწყო, მათი უსაფრთხოების სექტორში ფარული მოქმედების მოტივით. ამ გამოძიების ფარგლებში მოექცა უკრაინული და რეალურად ჩინეთის მფლობელობაში მყოფი "მოტორ სიჩი". ჩვენდა გასაკვირად, ინდოეთში ამ კომპანიის საეჭვო მაქინაციებში საქართველოც ფიგურირებს. კერძოდ, 2019 წლის გაზაფხულზე უცნობი ანტონოვის AN-12 თვითმფრინავი არაავტორიზირებული გზით შევიდა ინდოეთის საჰაერო სივრცეში. ეს საჰაერო მარშრუტი კი, ინდოეთ-პაკისტანის თებერვლის დაპირისპირების გამო, ინდოეთის მთავრობას დახურული ჰქონდა. ინდოეთის საჰაერო ძალებმა სცადეს თვითმფრინავთან დაკავშირება, თუმცა ამ უკანასკნელის დუმილის შემდეგ, იძულებული გახდნენ თვითმფრინავის დასაკავებლად სრულად შეიარაღებული სუხოის გამანადგურებლები გაეშვათ.

12. „მოტორ სიჩის" სკანდალებზე ბელარუსში ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ https://airsoft-unity.ru/instructions/teper-oficialno-orshanskii-aviaremontnyi-zavod-vnov-stal-gosudarstvennym-rossiisko-belorusskoe-i.html

სწორედ ამის შემდეგ, თვითმფრინავმა თავი "არარეგულარულ ფრენად" გამოაცხადა, რომელიც თბილისიდან, საქართველოდან დაიწყო და კარაჩის გავლით ახალ დელიში მიდიოდა. ინდოეთის თავდაცვის სამინისტროს არ გაუკეთებია დეტალური განმარტება ამ ინციდენტის შესახებ. თუმცა, „The Times of India“-ს ინფორმაციით, გაირკვა რომ ეს ე.წ. „ქართული თვითმფრინავი“ რეალურად “მოტორ სიჩის” ტვირთმზიდს წარმოადგენდა.

“მოტორ სიჩთან” დაკავშირებით კიდევ რამდენიმე გაურკვევლობა არსებობს, თუმცა ამ საკითხების შესახებ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას ან განზრახ არიდებს თავს კომპანიის კორუმპირებული აქციონერების მასპინძლობისას და მათთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებისას. სამწუხარო რეალობა კი გვაჩვენებს, რომ მემორანდუმის ფარგლებში, სკანდალური კომპანია მომავალში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ქართული სამხედრო თვითმფრინავების წარმოებაში.

ბიბლიოგრაფია

[1] ინფორმაცია იხილეთ თავდაცვის სამინისტროს გვერდზე, *„დელტას“, „თბილავიამშენსა“ და უკრაინულ სამხედრო სამრეწველო კომპანია Motor Sich - ს შორის სამმხრივი მემორანდუმი გაფორმდა“* /See the information on the website of the Ministry of Defense, "*a trilateral memorandum was signed between Delta, Tbilaviamsheni and the Ukrainian military-industrial company Motor Sich" at* https://mod.gov.ge/ge/news/read/8056/ssstc-deltas-ss-tbilaviamshensa-da-ukrainul-samxedro-samrewvelo-kompania-motor-sich-s-shoris-sammxrivi-memorandumi-gaformda , ასევე სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოებისა და მედია საშუალებების გვერხდებზე. მაგალითად, / As well as on the pages of various news agencies and media outlets. for example, https://www.interpressnews.ge/ka/article/638596-deltas-tbilaviamshensa-da-ukrainul-samxedro-samrecvelo-kompania-motor-sich-s-shoris-sammxrivi-memorandumi-gapormda/ ინფორმაცია გაავრცელა უკრაინულმა მედიამაც / Information was also spread by the Ukrainian media https://tv5.zp.ua/news/motor-sich-modernizuvatime-gruzinski-vertoloti/ ; https://defence-ua.com/news/motor_sich_dopomozhe_gruziji_modernizuvati_gelikopteri_mi_8-2677.html

[1] იხილეთ, თავდაცვის სამინიტროს განცხადება ოფიციალურ facebook გვერდზე / Check the statement of the Ministry of Defense on the official Facebook page https://www.facebook.com/mod.gov.ge/photos/a.116763301689754/4080052028694175/

[1] *“ირაკლი ღარიბაშვილი - საჰაერო თავდაცვა ერთ-ერთი საკვანძო მნიშვნელობის პრიორიტეტია” / "Irakli Gharibashvili - Air Defense is one of the key priorities"*, June 12, 2020, source: https://1tv.ge/news/irakli-gharibashvili-sahaero-tavdacva-ert-erti-sakvandzo-mnishvnelobis-prioritetia/

[1] “*Ukraine factories equip Russian military despite support for rebels”,* By Michael Birnbaum, August 15, 2014, source: https://www.washingtonpost.com/world/europe/ukraine-factories-equip-russian-military-despite-support-for-rebels/2014/08/15/9c32cde7-a57c-4d7b-856a-e74b8307ef9d_story.html

[1] “*The Motor Sich Factory and Its Covert Ties to Russia*” Publication: Eurasia Daily Monitor Volume:16 Issue:128, By Alla Hurska, September 19, 2019 source: https://jamestown.org/program/the-motor-sich-factory-and-its-covert-ties-to-russia/

[1] *"СБУ: «Мотор Січ» протягом 2 років фінансувала діяльність «ДНР»"/ "SBU:" Motor Sich "for 2 years financed the activities of the" DPR"* by Radiosvoboda, July 19, 2019, source: https://www.radiosvoboda.org/a/news-motor-sich-finansuvannya-dnr/30064956.html?mc_cid=af45316925&mc_eid=4b516b0c01

[1] “*The sad fate of Vyacheslav Boguslav: how the head of "Motor Sich" trades with Russia—Classified “Sekretni Materialy”*[Classified], September 11, 2020, source: https://tsn.ua/ru/video/video-novini/pechalnaya-sudba-vyacheslava-boguslava-kak-glava-motorsichi-torguet-s-rossiey-sekretnye-materialy.html?fbclid=IwAR1_wS8jnHVQ5WPWVhm4_PisNKwCoURkw8UCpGudQepJWcpIlaW--xDsjio

[1] “*SBU initiates criminal proceedings over the sale of Ukraine’s Motor Sich to Chinese investors”,* Tuesday, September 12, 2017, source: https://www.uawire.org/sbu-files-case-on-account-of-motor-sich-being-sold-to-chinese-investors

[1] “*Эхо ракетных афер: как «Мотор Сич» оказалась втянутой в международный скандал, И почему это именно сейчас – ну очень не вовремя Цей матеріал також доступний українською*”,

КИРИЛЛ РАЗУМОВСКИЙ, 12 ИЮНЯ 2018, source: https://mind.ua/ru/publications/20185629-eho-raketnyh-afer-kak-motor-sich-okazalas-vtyanutoj-v-mezhdunarodnyj-skandal

[1] *"Authorities probe Motor Sich's alleged 'financing of terrorism"* By Jack Laurenson, July 24, 2019, Updated July 24, 2019 at 10:18 pm, source: https://www.kyivpost.com/business/motor-sich-returns-to-parliament-as-authorities-probe-companys-alleged-financing-of-terrorism.html?cn-reloaded=1&cn-reloaded=1&cn-reloaded=1

[1] *"Relations between US and China are heating up: this time because of Ukraine*", August 30, 2019, source: Ukrainian Truth, at https://www.forumdaily.com/en/otnosheniya-mezhdu-ssha-i-kitaem-nakalyayutsya-na-etot-raz-iz-za-ukrainy/

[1] *"China's Growing Interest in Ukraine: A Window of Opportunity or a Point of Concern?"* by Alla Hurska, September 6, 2019, source: https://jamestown.org/program/chinas-growing-interest-in-ukraine-a-window-of-opportunity-or-a-point-of-concern/?mc_cid=af45316925&mc_eid=4b516b0c01

[1] *"Китайці виплатять Україні 3 мільярди за право купити акції "Мотор Січі" — ЗМІ / "The Chinese will pay Ukraine 3 billion for the right to buy shares in Motor Sichi" - the media*, AUGUST 19, 2019, source: https://www.epravda.com.ua/news/2019/08/19/650748/

[1] *"«Мотор Сич» может обойтись слишком дорого"*, Максим Рубченко, September 8, 2020, source: https://www.vedomosti.ru/opinion/articles/2020/09/08/839101-motor-sich

[1] *"Chinese Investors File Arbitration Case Against Ukraine Over Motor Sich Investment",* December 18, 2020, source: https://www.rferl.org/a/china-motor-sich-skyrizon-arbitration-ukraine/31007011.html

[1] *"Ukraine president approves sanctions against China's Skyrizon"* by Natalia Zinets, January 29, .2021, source: https://www.reuters.com/article/ukraine-china-sanctions-idUSL1N2K411U

[1] *"Seizure of Motor Sich: why have SBU and Zelensky interfered in the scandal"* by Natalia Myronova, February 1, 2021, source: https://thepage.ua/en/news/seizure-of-motor-sich-why-have-sbu-and-zelensky-interfered-in-the-scandal

[1] *"Motor Sich and America's Pressure Campaign in Ukraine: Can It Keep the Chinese at Bay?"* by Olena Lennon, October 29, 2020, source: https://www.wilsoncenter.org/blog-post/motor-sich-and-americas-pressure-campaign-ukraine-can-it-keep-chinese-bay

[1] *"Security Contractor Erik Prince Is in Talks to Acquire Ukraine's Motor Sich"* by Brett Forrest, November 5, 2019, source: https://www.wsj.com/articles/security-contractor-erik-prince-is-in-talks-to-acquire-ukraines-motor-sich-11572949809

[1] *"Trump adviser Bolton tells Ukraine: Beware Chinese influence"* by Reuters staff, August 28, 2019, source: https://www.reuters.com/article/us-ukraine-usa-bolton-statement-idUSKCN1VI1KD

[1] იხილეთ ჩინური Skyrizon Aviation Industry Investment Co. Ltd- ის სანქცირების შესახებ სრული დოკუმენტაცია მოცემულ ლინკებზე/Check the full documentation about the sanctioning of the Chinese Skyrizon Aviation Industry Investment Co. at the following links: https://www.federalregister.gov/documents/2021/01/15/2021-00995/addition-of-entity-to-the-entity-list-and-addition-of-entity-to-the-military-end-user-meu-list-and , ასევე ამერიკის შეერთებული შტატების კომერციის დეპარტამენტის ოფიციალურ საიტზე / Also at the official website of the US Department of Commerce https://www.commerce.gov/news/press-releases/2020/12/commerce-department-will-publish-first-military-end-user-list-naming

[1] *"Болтон о Мотор Сичи: Китай "украл" F-35, поэтому предостерегаю Украину",* BBC, August 28, 2019, source: https://www.bbc.com/ukrainian/news-russian-49501524

[1] *"შეეხება თუ არა აშშ-ის სანქციები Motor Sich-ს, რომელთანაც საქართველოში მემორანდუმი გაფორმდა"/ "Will US sanctions affect Motor Sich, with which a memorandum was signed in Georgia"* by Formula, January 23, 2021 at https://formulanews.ge/News/44070?fbclid=IwAR3lhGuO3ACqWI7cuHkRYGwWGRLoZY1Q0bp41yfcGzk5co9h7Ob99SHIevo

[1] *"U.S. blacklists Xiaomi, CNOOC, Skyrizon, raising heat on China",* January 15, 2021 at https://www.thehindu.com/news/international/us-blacklists-xiaomi-cnooc-skyrizon-raising-heat-on-china/article33577230.ece

[1] *"How a Notorious Arms Dealer Hijacked Niger's Budget and Bought Weapons From Russia*" by Mark Anderson, Khadija Sharife, & Nathalie Prevost, August 6, 2020, source: https://www.occrp.org/en/investigations/notorious-arms-dealer-hijacked-nigers-budget-and-bought-arms-from-russia

[1] *"India launches drive against clandestine entry by Chinese firm",* December 24, 2020, source: https://www.business-standard.com/article/economy-policy/india-launches-drive-against-clandestine-entry-by-chinese-firms-120122400955_1.html

[1] *"The Unfinished India Story of a Ukraine Plane and a Bribery Investigation"* by The Wire Staff, October 9, 2019, source: https://thewire.in/political-economy/the-unfinished-india-story-of-a-ukraine-plane-and-a-bribery-investigation

[1] *""დელტას", "თბილავიამშენსა" და უკრაინულ სამხედრო სამრეწველო კომპანია Motor Sich-ს შორის სამმხრივი მემორანდუმი გაფორმდა"/"A trilateral memorandum has been signed between Delta, Tbilaviamsheni and the Ukrainian military-industrial company Motor Sich"* by Nino Jgarkava, January 23, 2021, source: https://xnews.ge/დელტას-თბილავიამშენს/

ჩვენი გუნდი

გაიცანით ადამიანები,
რომლებიც ჩვენს საოცარ გუნდს ქმნიან

თინა, ანი, მარი

ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, განცხადებები და კომენტარები, ეკუთვნის მხოლოდ მათ და არ ასახავს ფონდების პოზიციას. შესაბამისად, არც ერთი დამხმარე ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ინფორმაციული მასალის შინაარსზე.

ანგარიშზე პასუხისმგებლები არიან თინათინ ხიდაშელი & ანი კინწურაშვილი